



დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის საჯარო სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო მიდელაშვილი

წევრები:

ნინო შუხოშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

თეა წინუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ლელა კაკაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ინგა გელაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

თამარი ჩიმაკაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

გურამ ბურდილაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნინო გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

თამარ ზედგენიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა ბენდელიანი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ჩალაუბნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	227752170

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩალაუბანი გურჯაანი / სოფელი ჩალაუბანი
ფაქტობრივი მისამართი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩალაუბანი
საფოსტო ინდექსი	1518
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1232?schoolName= http://chalaubnisskola.blogspot.com/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chalaubani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577-67-90-87

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 25 0000464074 30/04/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	29,30 მაისი, 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩალაუბანი, (1 შენობა-ნაგებობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩალაუბანი, (1 შენობა-ნაგებობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩალაუბანი, (1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 29, 30 მაისს სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი

დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა სკოლის ინფრასტრუქტურა. მათ შორის კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიუების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის დანერგვის პროცესებთან მიმართებით.

სკოლის დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) მასწავლებლებს გაესაუბრა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, რომლის თქმითაც, ჩალაუბნის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები), საგნობრივი კურიკულუმები (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება), შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმების შემუშავების დროს კათედრები მუშაობდნენ ერთობლივად და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. მასწავლებლებს კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის პროცესში შერჩეული აქვთ კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა, სადაც ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები, აქტივობები, რითიც გეგმავენ შუალედური მიზნის მიღწევას. პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, ახალისებენ მათ ინიციატივებს, სთავაზობენ დავალებებს, რომლებიც მათი მოტივაციის აღძვრასა და შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნათა ორგანიზებას უწყობს ხელს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას შექმნილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ბაზა, რაც უწყობს ხელს მოსწავლეთა პოლისტურ განვითარებას. ინტერვიუს გაანალიზებამ და დოკუმენტაციის შესწავლამ აჩვენა, რომ მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე, პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას და ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე დაიწყებენ მუშაობას რათა, მიმდინარე სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი 2025-2026 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა



VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -----150-----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილი შესაბამისობა;
- საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა;
- საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი



V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.07.2026 -მდე) უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონეს კადრის დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით.
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.05.2026 -მდე) უზრუნველყოს შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს კამერების ხედვა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, მუდმივად გამართული მოწყობილობით.
3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.06.2027-მდე) უზრუნველყოს სწავლებისათვის ინკლუზიური გარემოს შექმნა, კერძოდ ადაპტირებული სველი წერტილებისა და პანდუსის/ლიფტის მოწყობა
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
--------------	--------------------	--



	(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	
2.2.2.4.	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებ	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.07.2026-მდე) უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დასაქმება.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.	სკოლას მიეცა რჩევა, შემუშავებული დოკუმენტი მოიყვანოს თანხვედრაში სკოლაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან. კერძოდ, სკოლას არ ჰყავს მანდატური, ამიტომ „პერსონალური მონაცემების დაცვის“ დოკუმენტში მანდატურის ნაცვლად გაიწეროს ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის შესახებ.
3.5.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	რჩევა- ვინაიდან სკოლა საკუთარ ბალანზე არსებულ წიგნადის ფონის გარდა სარგებლობს სოფლის ბიბლიოთეკის მიერ 2008 წელს მიღება-ჩაბარების აქტი გადამცემული ლიტერატურით, იმისთვის რომ ნათელი გახდეს ყველა



		საბიბლიოთეკო სერვისის ხელმისაწვდომობა, სკოლამ ჩაატაროს ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია, სარეგისტრაციო ჟურნალში მიანიჭოს თითოეულ წიგნს შესაბამისი ნომერი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
<i>ინდიკატორი N...</i>		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
<i>ინდიკატორი N 2.1.2.1</i>	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი: III კლასის მათემატიკის კურიკულუმში თემების „გეომეტრიული ფიგურების“, „რიცხვები, რიცხვები 1000-ის ფარგლებში“, ფარგლებში არ მუშავდება სამიზნე ცნება კანონზომიერება და ლოგიკა; სასურველია, ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. საფეხურის ფარგლებში სავალდებულო თემები კი უნდა დაკონკრეტდეს მათემატიკის სტანდარტიდან. ხელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი: ვინაიდან საგნობრივი ჩარჩოსათვის კათედრა იყენებს მატრიცის ფორმას, სასურველია, შეიმუშავონ ერთგვაროვანი ცხრილი. სასურველია, საგნობრივ ჩარჩოში სამიზნე ცნებებსა და შედეგებთან ერთად ყველგან მითითებული იყოს შესაბამისი ქვეცნებები. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია დაწყებით საფეხურზე განხორციელდეს საგნობრივი კურიკულუმების რევიზია, საგანში „ჩვენი საქართველო“ (V-VI კლასები) რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება ყველა საგნისათვის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოს მსგავსი დიზაინი,



		განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასწავლო რესურსების დაზუსტებას, გამოიკვეთოს სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და ქვესაკითხები, ხოლო სვეტის დასახელება „დავალების იდეა“ - შეიცვალოს შემდეგი სახელით „შემოქმედებითი დავალების იდეა“; მისაღები იქნება, თუ კურიკულუმს დაემატება კიდევ ერთი სვეტი, სადაც განთავსდება „მაგალითი შედარებისათვის“; ასევე მოხდეს საგნობრივი („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“) კურიკულუმების რევიზიის დოკუმენტირება
2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ესთეტიკის საგნობრივი ექსპერტი: კურიკულუმში წარმოდგენილი ხუთი თემიდან მხოლოდ ორი თემის შემთხვევაშია შემოქმედებითი პროდუქტი დაგეგმილი, დანარჩენ დასამუშავებელი თემების შემთხვევაში არ ჩანს შესაბამისი აქტივობები და თემის შეჯამების, შემაჯამებელი პროდუქტის სახეობა. სასურველია შეივსოს ყველა თემის ფარგლებში. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი: სასურველია, კათედრაზე გააქტიურდეს პედაგოგთა თანამშრომლობა სხვადასხვა შესაძლებლობების მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებისა და კურიკულუმში შესაბამისი აქტივობების გაწერისათვის. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში, საგანში „ჩვენი საქართველო“ (V-VI კლასები) მითითებული იქნას შემოქმედებითი დავალების შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები, ასევე დაზუსტდეს შემოქმედებითი პროდუქტი. სასურველია დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში, საგანებში: „მე და საზოგადოება“ (III-IV კლასები), „ჩვენი



		საქართველო“ (V-VI კლასები) - დაზუსტდეს მეთოდური ორიენტირები და განხორციელდეს ცვლილების დოკუმენტირება
2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კუ რიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი:მათემატიკის III კლასის კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს; კურიკულუმებს მიეთითოს კონკრეტულად რომელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს მიხედვითაა დამუშავებული (მაგ.სახელმძღვანელოს დასახელება, ავტორი, გამომცემლობა). სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი: სასურველია, კურიკულუმში მითითებული რესურსების მიზნობრიობის გათვალისწინება, დაკონკრეტება, ბმულებისა და გამოყენებული მასალის სწორად მითითება.
2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	ესთეტიკის საგნობრივი ექსპერტი:ხელოვნებაში წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში ნაწილობრივ იკითხება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, რადგან არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი თემის შემაჯამებელი აქტივობები. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი:სასურველია დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების დროს პედაგოგის მიერ განხორციელებული დიფერენცირებული მიდგომები აისახოს შემოქმედებით პროდუქტში, ხოლო სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი დავალებების მოდიფიცირებული მიდგომა - საგნობრივ კურიკულუმებში



		საზუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: მოსწავლეების მზაობის, ინტერესების, საჭიროების და შესაძლებლობების გათვალისწინებით მასწავლებელმა კურიკულუმში შეიტანოს სხვადასხვა აქტივობები, რომელშიც გამოჩნდება დიფერენცირებული მიდგომები. ბიოლოგიაში მეტი ყურადღება დაეთმოს დაკვირვებებსა და ექსპერიმენტებს, ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებას.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური შეფასების სისტემა არის სანდო	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია როგორც საზოგადოებრივი, ასევე დაწყებითი კათედრის სხდომებზე პედაგოგებმა განიხილონ განმავითარებელი, ხოლო V-VI კლასებისათვის, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ეფექტიანობა, წარმოადგინონ პროცესის რეფლექსია, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს მათი დახვეწა. სასურველია პედაგოგებმა დანერგონ მოსწავლეთა ნამუშევრებით შექმნილი პორტფოლიოების შეფასების პრაქტიკა, რაც მათ დაეხმარება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის განხორციელებაში;
2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის	ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი: სკოლას უნდა ყავდეს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისთვის ადამიანური



	განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	რესურსი, რომელიც სერთიფიცირებული იქნება კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგებმა განხორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, ასევე დაწყებითი კათედრის წევრების წინაშე
--	--	---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1..	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი:IX კლასის კურიკულუმში რამდენიმე თემის შემთხვევაში არ არის განსაზღვრული სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და სასწავლო რესურსები. სასურველია სასწავლო წელი დაიგეგმოს სასწავლო წლის დასაწყისშივე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი:ბიოლოგია დასამუშავებელი სამიზნე ცნებები სტანდარტთან შესაბამისობაში მოიყვანეთ; IX კლასში ბიოლოგიის კურიკულუმში აკლია თემა „სახეობა და პოპულაცია“ და მასთან დაკავშირებული საკითხები. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია საბაზო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში, საგანი - „ისტორია“, „გეოგრაფია“ - თითოეული საკითხი, შემოქმედებითი დავალება - დაგეგმილი იქნას არა ერთობლივად ყველა სამიზნე ცნების გათვალისწინებით, არამედ ღრმად იქნას გააზრებული თითოეულ საკითხში ორი ან სამი სამიზნე ცნება სასურველია საბაზო საფეხურზე განხორციელდეს საგნობრივი კურიკულუმების რევიზია, საგანში „გეოგრაფია“ (VII,VIII,IX კლასები) რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება ყველა საგნისათვის



		კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოს მსგავსი დიზაინი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასწავლო რესურსების დაზუსტებას, გამოიკვეთოს სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და ქვესაკითხები, ხოლო სვეტის დასახელება „დავალების იდეა“ - შეიცვალოს შემდეგი სახელით „შემოქმედებითი დავალების იდეა“; მისაღები იქნება, თუ კურიკულუმს დაემატება კიდევ ერთი სვეტი, სადაც განთავსდება „მაგალითი შედარებისათვის“; ასევე მოხდეს საგნობრივი („ისტორია“, „გეოგრაფია“, მოქალაქეობა) კურიკულუმების რევიზიის დოკუმენტირება. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი:სასურველია, თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, მითითებული იყოს ქვეცნებებიც. ასევე მეტი ყურადღებაა საჭირო სამიზნე ცნებებსა და შედეგებს შორის შეთანხმებასთან დაკავშირებით. ამასთან ყურადღება მიექცეს იმასაც, რომ ყველა კომპონენტი შესაბამის გრაფაში იყოს განთავსებული. სასურველია საბაზო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში, საგანებში: ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა - დაზუსტდეს მეთოდური ორიენტირები და განხორციელდეს ცვლილების დოკუმენტირება
2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი:IX კლასის კურიკულუმში მასწავლებლის მიერ შერჩეული შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობები მეტი სიცხადით იქნას ჩამოყალიბებული. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი:სასურველია საბაზო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში, საგანში „გეოგრაფია“ დაზუსტებული იქნას შემოქმედებითი დავალების შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები და შემოქმედებითი პროდუქტი;



		სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;სასურველია მეტი კორელაცია საგნობრივ ჩარჩოსა და შემოქმედებითი ტიპის დავალებებს შორის
2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი:მათემატიკის საბაზო საფეხურის VIII და IX კლასის კურიკულუმებში მიეთითოს ყველა ის სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი:IX კლასებში კურიკულუმებში დამხმარე რესურსები მწირია .საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ,საგნობრივი საკითხების დამუშავებისას გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი:სასურველია, გაამრავალფეროვნოთ სასწავლო რესურსები, რომლებიც საკმაოდ მწირად არის წარმოდგენილი. კერძოდ, VII-IX კლასის საგნობრივი ჩარჩოს მიხედვით რესურსად გამოყენებულია მხოლოდ სახელმძღვანელო და სახელმძღვანელოში მითითებული რესურსები.
2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: მოსწავლეების მზაობის, ინტერესების, საჭიროების და შესაძლებლობების გათვალისწინებით მასწავლებელმა კურიკულუმში შეიტანოს სხვადასხვა აქტივობები, რომელშიც გამოჩნდება დიფერენცირებული მიდგომები.ბიოლოგიაში მეტი ყურადღება დაეთმოს დაკვირვებებსა და ექსპერიმენტებს,ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებას.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	უცხო ენის საგნობრივი ექსპერტი:სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მეტად მკვეთრად იყოს შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან რაც ნათელს

		გახდის სასწავლო მიზნებისა და მიღწეული შედეგების ურთიერთმიმართებას.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მაქსიმალურად უნდა იყოს ნაჩვენები. რა შემთხვევაში იწერება კონკრეტული ქულა მაგ. 9-10 ქულას აქვს მხოლოდ თითო რუბრიკა, რაც მოსწავლისათვის ბუნდოვანს გახდის, თუ რატომ ვერ დაიმსახურა მაქსიმალური შეფასება. სასურველია, თუ გაიზრდება განმავითარებელი შეფასებების ხვედრითი წილი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომებზე პედაგოგებმა განიხილონ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ეფექტიანობა, წარმოადგინონ პროცესის რეფლექსია, რასაც შედეგად მოჰყვება მათი დახვეწა. სასურველია პედაგოგებმა დანერგონ მოსწავლეთა ნამუშევრებით შექმნილი პორტფოლიოების შეფასების პრაქტიკა, რაც მათ დაეხმარება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის განხორციელებაში;
2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის რევიზიის დროს საგნებში: ისტორია, გეოგრაფია დაზუსტებული იქნას დამხმარე სასწავლო რესურსები და მათი ელექტრონული მისამართები
2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგებმა განახორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის



	კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, რაც მათ დაეხმარება კურიკულუმის რევიზიაში და დოკუმენტირებაში.
		ესთეტიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევა: დიფერენცირებული სწავლების მიდგომების, უკეთ გამოსაკვეთად სასურველია კურიკულუმში მეტად ჩაშალოთ შემოქმედებითი პროდუქტის შინაარსი სასურველია კურიკულუმში შეიტანოთ დამხმარე რესურსებიც. სასურველია, შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნა (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), რომელშიც უკეთ გამოიკვეთება ცნება/ქვეცნებათა დამუშავება.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1..	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: - სასურველი საშუალო საფეხურზე განხორციელდეს საგნობრივი კურიკულუმების რევიზია, საგანებში: „საქართველოს ისტორია“, „გეოგრაფია“, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება ყველა საგნისათვის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოს მსგავსი დიზაინი, განსაკუთრებულ ყურადღება მიექცეს სასწავლო რესურსების დაზუსტებას, ხოლო სვეტის დასახელება „დავალების იდეა“ - შეიცვალოს შემდეგი სახელით „შემოქმედებითი დავალების იდეა“. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი: სასურველია, თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, ყველგან მითითებული იყოს შედეგებიც და ქვეცნებებიც. ასევე მეტი ყურადღებაა საჭირო სამიზნე ცნებებსა და შედეგებს შორის შეთანხმებასთან დაკავშირებით. ამასთან



		ყურადღება მიექცეს იმასაც, რომ ყველა კომპონენტი შესაბამის გრაფაში იყოს განთავსებული.
2.1.2.1 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: - სასურველი საშუალო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში, საგანი - „ისტორია“, „საქართველოს ისტორია“, „გეოგრაფია“ - თითოეული საკითხი, შემოქმედებითი დავალება - დაგეგმილი იქნას არა ერთობლივად ყველა სამიზნე ცნების გათვალისწინებით, არამედ ღრმად იქნას გააზრებული თითოეულ საკითხში ორი ან სამი სამიზნე ცნება; საშუალო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში, საგანებში: ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა - დაზუსტდეს მეთოდური ორიენტირები და განხორციელდეს ცვლილების დოკუმენტირება. სასურველია საშუალო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში, საგანებში: „გეოგრაფია“ რევიზირებული და დაზუსტებული იქნას შემოქმედებითი დავალების შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები და შემოქმედებითი პროდუქტი; სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი: სასურველია მეტი კორელაცია საგნობრივ ჩარჩოს, შემოქმედებითი ტიპის დავალებებსა და შეფასების დოკუმენტებს შორის.
2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი: მათემატიკის X კლასის კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, საგნობრივი საკითხების დამუშავებისას გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.



2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: მოსწავლეების მზაობის, ინტერესების, საჭიროების და შესაძლებლობების გათვალისწინებით მასწავლებელმა კურიკულუმში შეიტანოს სხვადასხვა აქტივობები, რომელშიც გამოჩნდება დიფერენცირებული მიდგომები. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული მიდგომები, რომელიც აისახება შემოქმედებით პროდუქტში, ხოლო სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი დავალებების მოდიფიცირებული მიდგომა აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი:წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ძალზე ზოგადია. არ ჩანს, როგორ ანაწილებს მასწავლებელი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებულ ქულებს.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მაქსიმალურად უნდა იყოს ნაჩვენები.რა შემთხვევაში იწერება კონკრეტული ქულა მაგ. 9-10 ქულას აქვს მხოლოდ თითო რუბრიკა,რაც მოსწავლისათვის ბუნდოვანს გახდის,თუ რატომ ვერ დაიმსახურა მაქსიმალური შეფასება. საბუნებისმეტყველო საგნებში არაა წარმოდგენილი XII კლასის შეფასების რუბრიკები. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომებზე პედაგოგებმა განიხილონ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ეფექტიანობა, წარმოადგინონ პროცესის რეფლექსია, რასაც შედეგად მოჰყვება მათი დახვეწა. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: - სასურველი პედაგოგებმა დანერგონ მოსწავლეთა ნამუშევრებით შექმნილი



	შეფასების სისტემა არის სანდო	პორტფოლიოების შეფასების პრაქტიკა, რაც მათ დაეხმარება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის განხორციელებაში;
2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის რევიზიის დროს საგნებში: ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია დაზუსტებული იქნას დამხმარე სასწავლო რესურსები და მათი ელექტრონული მისამართები;
2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგებმა განახორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, რაც მათ დაეხმარება კურიკულუმის რევიზიაში და დოკუმენტირებაში.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე



გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“ (მე-3 სტანდარტთან მიმართებით: 3.1.2.(3.) ; 3.4.1.(1.); მე-2 სტანდარტთან მიმართებით (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი) : 2.2.2.(4), ექსპერტებმა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად“ შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ჩალაუბნის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მისია და ხედვა, რომელშიც ასახულია თემის გამოწვევები და ღირებულებები: სკოლის მისიაა შექმნას უწყვეტი განვითარების პლატფორმა სასკოლო საზოგადოებისა და თემისთვის. ხელი შეუწყოს ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებას, ინოვაციური მიდგომების დანერგვას, რომლის წევრებიც შეძლებენ საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში. სკოლა მიზნად ისახავს, ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს მუდმივი თვითგანვითარებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, შემეცნებისა და აკადემიური წარმატებისკენ სწრაფვის სურვილი, ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენება, რის შედეგადაც მოსწავლეები ჩამოყალიბდებიან ტოლერანტ მოქალაქეებად, შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა/გათვითცნობიერებას და ამის მიხედვით დაგეგმვენ საკუთარ მომავალს, გააკეთებენ მნიშვნელოვან და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ თანამედროვე სამყაროს მიღწევების გაზიარება, პრობლემების აღმოჩენა და მოგვარება. რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსალურ და ინკლუზიურ გარემო პირობების შექმნას, რაც თითოეულ მოსწავლეს მიკუთვნებულობის და რეალიზების საშუალებას მისცემს. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა განივითარონ ციფრული ტექნოლოგიების უნარ-ჩვევები, რომელიც ორიენტირებული იქნება ინოვაციური მიდგომების დანერგვა განხორციელებაზე. რის შედეგადაც 2030 წლისთვის სკოლა უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი, თანაბარი და უწყვეტი განათლების მიღებას.

წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამებაზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რადგან მის შინაარსში იკითხება დამოუკიდებელი, ცვლილებებზე ორიენტირებული, ტოლერანტი, პატრიოტი პიროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ინდიკატორი 1.1.1. შეესაბამება

2..სკოლის ღირებულებებია: ღიაობა/გამჭვირვალობა, განვითარება და ინოვაცია - მიღწევები ინოვაციის გზით და არსებულის გაუმჯობესება,ტოლერანტობა-განსხვავებული კულტურის, ცხოვრების 6 წესის, ქცევისა და ჩვეულებების მიღება.თანამშრომლობა- სხვათა შრომის, მიღწევების, იდენტობისა და აზრის პატივისცემა; აღიარება-საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება. თანასწორობა-ყველასთვის თანაბარი და ინკლუზიური გარემო.

სკოლას მისიითა და ხედვით განსაზღვრული აქვს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ტოლერანტი , საზოგადოების, ქვეყნისა და საკუთარი თავის წინაშე პასუხისმგებლიანი, რეალიზებული პიროვნების აღზრდა და საზოგადოებისთვის უსაფრთხო გასასვლელი გარემოს ფორმირება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო კულტურა თანამშრომლობითია, რაც გამოიხატება სკოლაში მიმდინარე პროცესებში(პროექტებში, სასკოლო ღონისძიებებსა თუ კლუბურ მუშაობაში)სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები თემის განვითარებას, მის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენისთვის.

სკოლა ფილოსოფიის მიხედვით საკუთარ როლს განსაზღვრავს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორი1.1.1.2 შეესაბამება

3. სსიპ ჩალაუბნის საჯარო სკოლის მისია და ხედვა შემუშავებულია დირექტორის ბრძანებით N2-77 (7 ნოემბერი, 2023 წ) შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე(ოქმი N 3, 16.01.2024)..სკოლის მიერ წარმოდგენილია ფილოსოფიის (მისიის, ხედვის ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ” (2023 წლის 16 სექტემბრის N2/83 ბრძანება) , რომელიც ითვალისწინებს სკოლის მიერ მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართვას.

სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ პირთა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ პედაგოგები, მშობელი, მოსწავლე-თვითმმართველობის წარმომადგებელი , სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი) განახორციელა კვლევა.კვლევაში მონაწილეობდა მთელი სასკოლო საზოგადოება(მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები). შესწავლილ იქნა თემის ინტერესები

კითხვარების საშუალებით და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტის ჩამოყალიბება. პროექტი განიხილა სკოლის პედაგოგიურმა და სამეურვეო საბჭომ, განხილულ იქნა ასევე მშობელთა კრებაზე (ოქმი #3 25.01.2023წ) რის შემდეგაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა სკოლის ფილოსოფია, ხოლო მის სასკოლო საზოგადოების გაცნობისა და უკუკავშირის მიღების შემდეგ, მოხდა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დამტკიცება. საბოლოო სახით სასკოლო ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულება) განთავსდა სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, სტენდზე

ინდიკატორი 1.1.1.3 შეესაბამება

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომი და საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის. მისი შემუშავება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მოხდა. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში“ გაწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ეტაპები, პასუხისმგებელი პირები და ასევე გაზიარების მექანიზმი. დამტკიცებული დოკუმენტი ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, მასზე დაყრდნობით შემუშავებულია 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 1.1.1.4. შეესაბამება

5. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ბრძანების მიხედვით სკოლის ფილოსოფიის საჯაროობის უზრუნველყოფის საშუალებებია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის ვებ გვერდზე განთავსება. სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის შენობის მისაღებ სივრცეში პოსტერის სახით, .

ინდიკატორი 1.1.1.5 შეესაბამება

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, სახელწოდებაში გამოყენებულია სიტყვა „სკოლა“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების“ შესაბამისად დაწესებულების სახელწოდებაა სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის საჯარო სკოლა. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 15/09/2005წ.)

ინდიკატორი 1.1.1.6. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- მშობელთა კრების ოქმი
- სამეურვეო საბჭოს კრების ოქმი
- სკოლის რეგისტრაციის მოწმობა
- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ბრძანება N2-83 /
- სასკოლო საზოგადოების წევრების (მასწავლებლები, მოსწავლეები, მოსწავლეების მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები) გამოკითხვის კითხვარების ნიმუშები
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

- სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
- სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
- სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ჩალაუბნის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ცალკეული მუხლები ეთმობა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელშიც გაწერილია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპები; პროცესში ჩართული მხარეები; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების პროცესი; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხები. თავის მხრივ, სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესებისა და საჭიროებების გასათვალისწინებლად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს სკოლის მისიის და ხედვის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ბრძანებით განსაზღვრულმა პირებმა მათი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად განახორციელეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებები. გეგმების შემუშავებამდე სკოლაში სპეციალური კითხვარების (ელექტრონული და მატერიალური) საშუალებით მოხდა სასკოლო თემის საჭიროებების გამოვლენა, ჯგუფმა გამოიკვლია სასკოლო საზოგადოების ინტერესები პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობით. კითხვარების ანალიზისა და SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, ხოლო სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით - ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები. ეს პროცესი ციკლურია. სკოლაში გარკვეული პერიოდულობით (სემესტრის დასრულებისას) ხორციელდება გეგმების მონიტორინგი და შეფასება, მზადდება შესაბამისი ანგარიში, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები შესაძლებელია გახდეს გეგმის ცვლილების მიზეზი. ასევე გაითვალისწინონ ახალი გეგმის შედგენისას.

ინდიკატორი 1.2.1.1. შეესაბამება

2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული გეგმა შემუშავდება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც უზრუნველყოფს მის ციკლურობას. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გადახედვა და ცვლილების შეტანა სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელშიც დადგენილია 7 წლის განმავლობაში მისაღწევი მიზნები. სკოლის სტრატეგიული გეგმაში გაწერილია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: თანამედროვე მოთხოვნების და გამოწვევების შესაბამისი სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის განვითარება, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ოპტიმიზაცია, საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება და განვითარება (ციფრული ტრანსფორმაცია), თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და კონკურენტული სამუშაო გარემოს შექმნა.

სკოლის სტრატეგიულ განვითარების შვიდწლიან გეგმაში გაწერილი მიზნები და ამოცანები ხელს უწყობს სკოლის მისიისა და ხედვის შინაარსით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 1.2.1.2. შეესაბამება

3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით გაწერილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, რომლის მიხედვით ბრძანებით განსაზღვრულია პირთა ჯგუფი სტრატეგიული გეგმასა და სსიპ. ჩალაუბნის საჯაროს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, შეიმუშავებს სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტს, რომელიც განიხილა სასკოლო საზოგადოებამ და მათი უკუკავშირის გათვალისწინების შემდეგ დაამტკიცა სკოლის ადირექტორმა.

ინდიკატორი 1.2.1.3. შეესაბამება

4. სსიპ ჩალაუბნის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, აქტივობების შერულების პერიოდი, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები .

ინდიკატორი 1.2.1.4. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის ბრძანება N2-83
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-84

- პედ.საბჭოს ოქმი N 3
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ბრძანება N2-03(მონიტორინგის ჯგუფის შექმნის)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის სხდომის
- ოქმი N2 -ის დანართი 1.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ჩალაუბნის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ბრძანებით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ პროცესი. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგის მიზანია, დაადგინოს დაგეგმილი აქტივობებიდან რა შესრულდა და რა – არა. ამ ნაწილში ხდება შინაარსობრივი ანალიზი, იდენტიფიცირდება შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობები. როგორ ხდება მონიტორინგის შედეგების შეფასება, რაც გულისხმობს შინაარსობრივ ანალიზს, თუ რამდენად მკაფიოდაა გაწერილი მისაღწევი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები და ასახულია ის სამოქმედო გეგმაში; რამდენად შეესაბამება დაგეგმილი აქტივობები და შერჩეული რესურსები მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას; რამდენად ეფექტიანად არის დაგეგმილი პროცესები, რა შესრულდა; რისი განხორციელება შეფერხდა; რომელიმე ამოცანამ ხომ არ დაკარგა აქტუალობა; რომელიმე ამოცანის დამატება ხომ არაა საჭირო; როგორ მივყვებით განხორციელების ვადებს და ა. შ.

სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, რათა დადგინდეს რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისათვის სკოლაში ასევე, გამოიყენება ანგარიშების მექანიზმი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ ანგარიშებს, მათ მიერ შესრულებულ სამუშაოზე. სამეურვეო საბჭო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე სხდომაზე განიხილავს სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშებს. ანგარიშების სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.2.2.1.შეესაბამება

2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს დირექტორის მიერ განსაზღვრული ჯგუფი. შვიდწლიანი გეგმის გეგმიური მონიტორინგი განხორციელდება 3 წლის და მისი მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, ხოლო არაგეგმიური – შესაძლოა განხორციელდეს საჭიროების მიხედვით, თუ გამოვლინდა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების დიდი ნაწილი არ სრულდება. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს და შესაბამისად გამოცემულია

ინდიკატორი 1.2.2.2. შეესაბამება

3.....
4.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 1.სკოლამ სქემის სახით წარმოადგინა საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს (7 კათედრა), მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს, სააპელაციო კომიტეტს, რჩეველთა საბჭოს, სკოლის დირექციას (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი), ადმინისტრაციას (საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სპეცმასწავლებელი). სკოლაში სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია: ექთანი, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერი სპეციალისტი(სსსმ პირის ასისტენტი, დამლაგებელი-2, დარაჯი-1 (დღის), ცეცხლფარეში-1.

საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული სავალდებულო სტრუქტურული რგოლების მუშაობას არეგულირებს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები გაწერილია დირექტორის N 2-03 ბრძანებით დამტკიცებულ ინდივიდუალური სამართლებრივ აქტში- „სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად,“ რომელიც არეგულირებს მათი მოქმედების არეალს, ფუნქციურ დატვირთვას და ანგარიშვალდებულებას. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა

და დასაქმებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების, ბრძანებებისა და შინაგანაწესის მიხედვითაც. სკოლის ადმინისტრაციასთან და ტექნიკურ პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურით, დირექტორის ბრძანება N 2-03-ით დამტკიცებულ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ინდიკატორი 3.1.1.1 შეესაბამება

2. გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურულიდან ნათლად ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა, განსაზღვრულია ვინ ვის ექვემდებარება და ვის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული. გამოკითხვისას გაირკვა, რომ სკოლა განიცდის კადრების სიმწირეს (არ ჰყავთ ტექნიკური მენეჯერი, ჰყავთ 1 დარაჯი და 2 დამლაგებელი) , ამდენად მნიშვნელოვანია სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები სწორად იყოს გადანაწილებული. მაგალითად მატერიალურ პასუხისმგებელ პირად დირექტორის N ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის მასწავლებელი, გამოკითხვისას გაირკვა, რომ გარკვეული ფუნქციები შეთავსებული აქვს სკოლის სპორტის მასწავლებელს. თანამდებობრივი ინსტრუქციები გაწერილია სკოლის დირექტორის N2-03 ბრძანებით დამტკიცებულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტშიც; სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სადაც ჩანს კონკრეტული აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირებისადმი გადანაწილებული ფუნქციები. დირექტორის ბრძანებით N 2-09 შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომლის ფუნქციაა გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასება და მასწავლებლების საქმიანობის შეფასება. თვითშეფასებისას კი დეტალურად აღწერენ იმ აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურით, დირექტორის N 2-03 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები და მონიტორინგი; დირექტორის ბრძანება იძლევა შესაძლებლობას დავადგინოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2 შეესაბამება

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა (ორგანოგრამა)
- დირექტორის ბრძანება 2-03-ით დამტკიცებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი-სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ.
- საშტატო განრიგი
- შრომითი ხელშეკრულებები
- ბრძანება N2-09 -მონიტორინგის ჯგუფის შესახებ
- შინაგანაწესი
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში კვალიფიციური პერსონალის შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების არსებით საფუძველს და აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ და სკოლის შინაგანაწესის

შესაბამისად, სკოლაში პედაგოგების შერჩევა ხორციელდება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და განსაზღვრავს შრომითი პირობების დაცვის წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელ და განუყოფელი ნაწილის, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის წესები და პირობები, რომლებიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი 3.1.2.1 შესაბამება

2.. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება, რაც ითვალისწინებს პერსონალის საჭიროების და შესაძლებლობების გამოვლენას. სირთულეების დროულ იდენტიფიცირებას და მოგვარების პრევენციული გზების დასახვას. სკოლის დირექტორი განმარტებით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია აანალიზებს მომავალი სასწავლო წლისთვის რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრების შერჩევა და წინასწარ აცხადებს კონკურსს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სადაც გაწერილია სამსახურში არგამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლით, ხოლო სხვა დასაქმებულის შემთხვევაში, უზრუნველყოს ფუნქციათა დელეგირება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელზე..

ინდიკატორი 3.1.2.2. შესაბამება

3.. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის პროცედურები. პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლის მიზნებიდან და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარე, სკოლამ უნდა უზრუნველყოს სამუშაოს მოთხოვნებთან შესაბამისი უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, ცოდნის, გამოცდილებისა და ღირებულებების მქონე პერსონალთა მოზიდვა. ამისთვის სკოლა წინასწარ განსაზღვრული აქვს საჭირო კადრის საკვალიფიკაციო

მოთხოვნები, რომლებიც გაწერილია დირექტორის N 2-14 ბრძანებით დამტკიცებულ “ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის” დოკუმენტში. დოკუმენტის თანახმად, სკოლის თანამშრომლების დაკომპლექტებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოზიდვის და დაქირავების გამჭირველე, ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის წარმართვას, აგრეთვე ნებისმიერი აპლიკანტისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და საკუთარი თავის რეალიზებისთვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსით, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის შესაბამისად. მასწავლებლის გარდა სხვა კადრის შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსით, ასევე, კანდიდატთან გასაუბრების გზით. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი, სადაც გაწერილია კონკურსის ჩატარების პრინციპები, საკონკურსო და სააპელაციო კომისიის შემნისა და მუშაობის წესები, კონკურსის გამოცხადების და ჩატარების პროცედურები. ასევე, კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი.

სკოლამ წარმოადგინა ექთნის, და სსსმ პირის ასისიტენტის საკონკურსო მასალები. აღნიშნული კანდიდატების პირადი საქმის შესწავლამ აჩვენა, რომ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირებს წარმოდგენილი აქვთ კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები: „საქმიანობის უფლების ჩამორთმევაზე“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. 2020 წლამდე დასაქმებულ პირებს წარმოდგენილი აქვთ მხოლოდ ნასამართლეობის ცნობა. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე სკოლას არ ჰყავდა ისტის მასწავლებელი. კომპიუტერული ტექნოლოგიების საათები გადანაწილებული ჰქონდა დაწყებითის მასწავლებლებზე. სკოლას არ ჰქონდა გამოუცხადებული ვაკანსია, კვალიფიციური კადრის აყვანის მიზნით; აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა ვერ უზრუნველყოფდა კანონმდებლობით გათვალისწინებული კადრების მოზიდვას.

3.1.2.(3) ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის მოთხოვნების მეტწილად შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 01.07.2026 წლამდე სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისის კვალიფიციური კადრის აყვანას. სკოლამ უკვე გამოაქვეყნა ისტის მასწავლებლის ვაკანსია მასწავლებელთა ვაკანსიების ვებგვერდზე (<https://teacherjobs.ge/82772>), რითიც დასტურდება, რომ სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფს საკითხის მოგვარებას. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიციულის მქონე კადრის დასაქმება.

4...სკოლაში დასაქმებულია 31 თანამშრომელი, მათ შორის 22 მასწავლებელია. აქედან 14 უფროსი, 7 წამყვანი, 1 მოწვეული, 1 უფროსი სპეც მასწავლებელი, 1 სსსმ. მოსწავლის ასისტენტი. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც დამტკიცებულია ბრძანება N2-03 (იხ. დანართი 34), სადაც გაწერილია სკოლაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში ნებისმიერი ვაკანსიის შევსებისას გათვალისწინებულია აღნიშნული მოთხოვნები. სკოლა მასწავლებლის შერჩევისას ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. მოთხოვნები დაზუსტდება სკოლის მიერ საკონკურსო განაცხადის www.teacherjobss.ge -ზე გამოქვეყნებისას. კონკურის დასრულების შემდეგ მასწავლებლებთან იდება მათი სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულება. მასწავლებლის სტატუსის ცვლილებისას იცვლება ხელშეკრულების პირობები, რომლის საფუძველზეც შეიცვლება მათი ფუნქციები. მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. კონკურსის წესით არიან შერჩეულნი სკოლის ექთანი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები (სპეც მასწავლებელი და სსსმ პირის ასისტენტი), რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის სკოლას დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს. პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზა მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას არ ჰყავს კვალიფიციური ექიმი. ექთანი, სკოლამ ვაკანსია გამოაცხადა ექიმის შტატზე, თუმცა ვაკანსია ვერ შეივსო სასურველი კადრით. სკოლის მხრიდან რამდენჯერმე გამოცხადდა ვაკანსია. შესაბამისად სკოლამ მიმართა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაიშვა ექთანზე შტატი, რომელიც N2-69 ბრძანებით არის განსაზღვრული-„ ექიმის შტატზე ექთნის დასაქმების წესის შესახებ“ გამოცხადდა ვაკანსია და დარეგისტრირდა კვალიფიცირებული ექთანი, რომელსაც სკოლამ გაუფორმა შესაბამისი (ვაკანსიის შევსებამდე) ხელშეკრულება.

ინდიკატორი 3.1.2.4. შესაბამება

5. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პოლიტიკის მართვის ძირითად პრინციპები და ღირებულებები, მათ შორის მნიშვნელოვანია მონაწილეობის პრინციპი. პოლიტიკის დოკუმენტით, ასევე განსაზღვრულია ორგანიზაციული კულტურის გაძლიერების მექანიზმები. კერძოდ, თანამშრომელთა შორის (როგორც სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლები, ასევე მასწავლებლები) ეფექტიანი ურთიერთობის და გუნდური შეჭიდულობის მიზნით სხვადასხვა

აქტივობის დაგეგმვა და თანამშრომლთა მიერ სხვადასხვა ინიციატივების წარდგენა ორგანიზაციულ საკითხზე როგორც ფოკუს-ჯგუფებში, ისე უშუალო ხელმძღვანელთან პირდაპირი კომუნიკაციით. სკოლის დირექტორის განმარტებით, თავისი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების კითხვარის შემუშავებაში. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართული იყო კურიკულუმების შემუშავების პროცესში. სკოლის სტრუქტურით განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოების მუშაობა ეფუძნება მონაწილეობით პრინციპს და გადაწყვეტილების მიღება ხდება კემჭისყრის საფუძველზე.

ინდიკატორი 3.1.2.5 შეესაბამება

6.. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება. შეფასება შესაძლებელია გახდეს თანამშრომელთა წახალისების, კარიერული განვითარების და პროფესიული განვითარების საფუძველი. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.

ინდიკატორი 3.1.2.6 შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები
 - თანამშრომელთა პირადი საქმეები
 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
 - ბრძანება N 1კ-39 სსსმ ასისტენტის ვაკანტური ადგილის შევსების წესის დამტკიცება
 - ბრძანება N 2-69 ექიმის შტატზე ექთნის დასაქმების წესის დამტკიცება
 - ბრძანება 1კ-03-დამრიგებლის ფუნქციის დროებით დაკისრების შესახებ
 - - ბრძანება 1კ-40 სსსმ ასისტენტის კონკურსის ვადები და კომისია
 - შინაგანაწესი
 - <https://teacherjobs.ge/82772>
-

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტიში აღწერილი პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები. კერძოდ, სკოლის პერსონალის საჭიროებებისა და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და გამოსწორების გზების დასახვა, პერსონალის ძლიერი მხარეების გამოვლენა და განმტკიცება/ განვითარების ხელშეწყობა. პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევის დაგეგმვა. პერსონალის შეფასებისთვის, დირექტორის ბრძანებით წინასწარ

განსაზღვრება შეფასების ვადები, პერიოდი, პროცედურები და მეთოდები. პერსონალის საქმიანობას აფასებს დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელი. სკოლის მასწავლებლის შეფასებას უზრუნველყოფს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული ვალდებულებების შეფასებას. მასწავლებლის შეფასებისას უნდა გაითვალისწინონ მოსწავლეთა წარმატებებიც. სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგებს იყენებენ პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვისათვის. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1. შეესაბამება

2.. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის განვითარება სკოლის ადამიანური რესურსის მართვის არსებითი ნაწილია. პროფესიული განვითარების მიზანია სკოლაში დასაქმებულთა პროფესიული უნარჩვევების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს საქმიანობის ეფექტიანად შესრულებას.

პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია: პროფესიული განვითარების საფუძველები, ვადები, პერიოდულობა, მეთოდები/აქტივობების ფორმა(ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და ა.შ.) და თემატიკა. სკოლის დირექტრი, შერჩეული მეთოდის/აქტივობის შესახებ აგროვებს ინფორმაციას (ფინანსური ხარჯები, ხანგრძლივობა, ადგილმდებარეობა და ა.შ.) და უზრუნველყოფს საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.

წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტით სკოლა აცხადებს მაზაობა, იზრუნოს სკოლის პერსონალის განვითარებაზე გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი საკითხად გაწერილია პერსონალის საჭიროების დადგენა და განვითარების ხელშეწყობა. პერიოდულად ტარდება გამოკითხვები და დგინდება მასწავლებელთა საჭიროება. 2024-25 სასწავლო წლის II სემესტრში ჩატარდა გამოკითხვა, მოხდა ანალიზი, მონიტორინგის ჯგუფის მიერ და დაიგეგმა პრეზენტაცია იდენტიფიცირებულ საკითხზე. ასევე რეგულარულად ხდება გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირი შეფასების რუბრიკები საშუალებით და უკუკავშირი ეგზავნებათ მასწავლებელს.

ინდიკატორი 3.2.1.2. შეესაბამება

3.. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს პერსონალის ჩართულობას პროფესიული განვითარების აქტივობებში. იღებს მონაწილეთა უკუკავშირის აღნიშნული ღონისძიებების შესახებ და აფასებს აქტივობის ეფექტიანობას, აწარმოებს პროფესიული განვითარების აქტივობებში თანამშრომელთა მონაწილეობის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას, ინახავს პროფესიული აქტივობების ამსახველი დოკუმენტებს. (სერტიფიკატების,

სიგელების.). პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ ინფორმაციას დირექტორი იყენებს პერსონალის კარიერული წინსვლის გეგმის შემუშავებისთვის. რამდენადაც ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული გეგმა სკოლას არა აქვს შემუშავებული, თუმცა წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით, სკოლა აცხადებს მზაობას, რომ სკოლის პერსონალს ექნება ხელშეწყობა კარიერული ზრდის მიმართულებით. ეტაპობრივად ხორციელდება მასწავლებელთა თვითშეფასების/შეფასების განხილვა, რომელიც ასახულია პედსაბჭოს ოქმი N8 - ში; ასევე სკოლამ წარმოადგინა საგაკვეთილო დაკვირვების შედეგების ანალიზის ფორმები, რომლის საფუძველზეც ვლინდება პროფესიული საჭიროებების გამოკვეთა და იგეგმება პერსონალის განვითარება

ინდიკატორი 3.2.1.3. შესაბამება

4. ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის მექანიზმებს. კერძოდ, განსაზღვრულია ინტეგრაციის მიზნები, ინტეგრაციაზე პასუხისმგებელი პირი და აღწერილია ინტეგრაციის პროცესი, რომელიც მოიცავს: ახალი თანამშრომლისთვის სკოლის მისია, მიზნების, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებისა და სკოლაში მოქმედი შიდა რეგულაციების გაცნობას. სკოლის დირექტორი ახალ თანამშრომელს აცნობს მის სამუშაო აღწერილობას და განუმარტავს თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მისადმი, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში, საჭიროების შემთხვევაში დგება კონკრეტული ტრენინგ-პროგრამა ახალი თანამშრომლისთვის, სადაც მითითებულია, რა დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს თანამშრომელმა გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტით სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორი 3.2.1.4. შესაბამება

5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და სკოლის შინაგანაწესით წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კერძოდ, შეფასების შედეგების შესაბამისად განსაზღვრულია თანამშრომლის წახალისების ფორმები: მაღლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და სხვა.

ინდიკატორი 3.2.1.5. შესაბამება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის
- შევსებული კითხვარი-მასწავლებლის
- მონიტორინგის ჯგუფი ოქმი N 4
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ტრენინგის პრეზენტაცია
- გაკვეთილზე დასწრების რუბრიკა
- პედსაბჭოს ოქმი N 8 -ში
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა
- უკუკავშირი დირექტორის
- სკოლის შინაგანაწესი

.....
.....
.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“ და ასევე შექმნილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ევალება პროცესების მართვის მექანიზმების უზრუნველყოფა. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები;

მონიტორინგის ჯგუფის ფუნქციაა-ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შემუშავება სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლის სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში (როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლება) ჩართული პერსონალის განვითარების ხარისხის სისტემატიური შეფასება და ზრუნვა მათ პროფესიულ ზრდაზე, ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესების ორგანიზება. ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიზანია სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები (კურიკულუმის შემუშავება, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტი), რომლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე-განავითარე, პრინციპის დაცვით.

ინდიკატორი 3.3.1.1 შესაბამება



2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, კერძოდ, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის შინაგანაწესი აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დებულებით, სხვადასხვა კოლეგიური ორგანოების დებულებებით: დირექცია, პედსაბჭო და სამეურვეო საბჭო აღწერილია მმართველობით პროცესებად, ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით, ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების წესით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიებით და სხვა დოკუმენტებით.

ინდიკატორი 3.3.1.2. შეესაბამება

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. კერძოდ, სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს “გასაჩივრების წესი”, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სკოლის პერსონალის, მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები დირექტორთან, ან/ და სამეურვეო საბჭოსთან გასაჩივრების შესახებ. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოიცავს გასაჩივრების მუხლს, დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეო საბჭოში და სკოლის დისციპლინურ კომიტეტში „კონკურსის ჩატარების წესის“ თანახმად, მასწავლებელს შეუძლია კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 3.3.1.3. შეესაბამება

5. სკოლას შემუშავებული აქვს “გასაჩივრების წესი” და “სასკოლო სასწავლო გეგმა”, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებების დაცვის საკითხები; აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია როგორც მოსწავლეების, ასევე სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლებების დაცვის მექანიზმები, რომლებიც რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებში გაწერილი წესების და პირობების შესაბამისად. კერძოდ, სკოლა აქვს შინაგანაწესი, ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და სკოლის ექთანი,



თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენლს აცნობს მათ უფლებების და მოვალეობების (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.). დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

6. ინდიკატორი 3.3.1.4 . შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფის დამტკიცების ბრძანება;
- შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- გასაჩივრების წესი
- დასაქმებულთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დებულება
- კურიკულუმის დაგეგმვით მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
-

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. კერძოდ, ინფორმირების მიზნით, სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც გამოკრულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები; სკოლის სტრუქტურა, შინაგანაწესი და პერიოდულად ქვეყნდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას უზრუნველყოფს დამრიგებელი. სასწავლო წლის დაწყებისას მას ევალება მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლას აქვს ვებგვერდი და ფეისბუქგვერდი, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გასაჯაროებას და შესაბამის უკუკავშირს, რომელსაც სკოლა იყენებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის ძირითადი დოკუმენტები (მაგალითად შინაგანაწესი, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, გასაჩივრების წესი) და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ფეისბუქგვერდის მუშაობაზე და ინფორმაციის დროულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებისა და საჭიროებების დასადგენად ატარებს გამოკითხვას წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით. მაგალითად, სკოლამ წარმოადგენა მშობელთა, მოსწავლეთა კითხვარები; მიღებულ ინფორმაციას სკოლა იყენებს სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

ინდიკატორი 3.3.2.1. შესაბამება

2.. სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ კოლეგიალურ ორგანოებს: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო; მათი ფუნქციები განსაზღვრულია ზოგადი განათლების შესახებ კანონით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში.

ინდიკატორი 3.3.2.2 . შესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- კითხვარები
- <https://skolebi.emis.ge/schools/1232?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90>
- <https://www.facebook.com/profile.php?id=100089898083791>
- ფეისბუქგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება
-

.....

.....

.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა



1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ ჰყავს მანდატური, ამიტომ დირექტორის ბრძანებით N1კ-01 დანიშნულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სათვალთვალო კამერები, რომელიც აკონტროლებს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს. სკოლას ჰყავს უფლებამოსილი პირი (ბუღალტერი), რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერების უფლება.

სკოლის ტერიტორიაზე, შიდა და გარე პერიმეტრს მორიგე მასწავლებლები უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას. სკოლის პირველ სართულზე, შესასვლელთან, სასწავლო პროცესის პერიოდში აკონტროლებენ შენობაში შემომსვლელ პირებს და აღრიცხავენ სარეგისტრაციო ჟურნალში. მორიგე მასწავლებელი პასუხისმგებელია უცხო პირთა გადაადგილებაზე. შინაგანაწესის შესაბამისად, მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან დარღვევის დროს, დირექტორი აკეთებს შესაბამის რეაგირებას. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - ადამიანების და პროცესების უსაფრთხოება. სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, გამოყოფილი ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები-ცეცხლფარეში. აქვს

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა, რომელიც სკოლის შიდა სივრცეშია განთავსებული, თვალსაჩინო ადგილას. ასევე შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. სკოლის მიერ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, გაგზავნილია მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან. შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება და ელოდებიან შესაბამისობის დასკვნას. ასევე, სკოლამ მიმართა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მოთხოვნით, რათა შეისწავლონ სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა და განსაზღვრონ მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოება.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე; გაფორმებული ჰქონდათ უწყებასთან ხელშეკრულება და ელოდნენ რეაგირებას.

ასევე ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე აღმოჩნდა, რომ მონიტორი, რომელზეც ასახულია ვიდეოსათვალითვალო სისტემის ხედვის არეალი, განთავსებული იყო დირექტორის კაბინეტში და მასზე მუდმივი წვდომა არ ჰქონდა უფლებამოსილ პირს. დირექტორის კაბინეტი ვერ იქნებოდა ადგილი, სადაც უფლებამოსილი პირი შეძლებდა სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის მუდმივ კონტროლს და მონიტორინგს.

3.4.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის ნაწილობრივ აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები. კერძოდ, წარმოადგინა ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება, რომ ალტერნატიული ფართის გამოყოფამდე, დირექტორისა და ბუღალტრის (უფლებამოსილი პირის) ოთახები გადანაცვლდა, რაც შესაძლებლობას აძლევს უფლებამოსილ პირს კამერების მუდმივ წვდომაზე.

რაც შეეხება ხარვეზის იმ ნაწილს, რომლის მიხედვითაც სკოლას არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან 2025 წლის 17 ივნისს გაფორმებული N ე-270 ხელშეკრულება და შესაბამისობის გეგმა, სადაც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 22.05.2026 წელი.

შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა და შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება.

2. სკოლაში ფუნქციონირებს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ექიმის ნაცვლად სკოლას ჰყავს ექთანი. სკოლამ არაერთხელ გამოაცხადა ვაკანსია ექიმის შტატზე, თუმცა ვერ შეძლო სასურველი კადრის აყვანა. შესაბამისად,

სკოლამ მიმართა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თხოვნით, რომ დაეშვა ექთნის შტატი; დირექტორის N2-69 ბრძანებით განისაზღვრა - „ექიმის შტატზე ექთნის დასაქმების წესის შესახებ“, გამოცხადდა ვაკანსია და დარეგისტრირდა კვალიფიციური ექთან, რომელსაც სკოლამ გაუფორმა ხელშეკრულება. სკოლის N 5-01 ბრძანებით ექთნის ვალდებულებაა პირველადი დახმარების აღმოჩენა.

ინდიკატორი 3.4.1.2. შეესაბამება

3. ვინაიდან სკოლას არ ჰყავს მანდატური, დირექტორის ბრძანებით დანიშნულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ამავდროულად არის საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელიც. უფლებამოსილ პირს, საჭიროების შემთხვევაში, აქვს უფლება გამოიყენოს მეტალოდეტექტორი. წესრიგის დაცვისა და საფრთხეების პრევენციის მიზნით სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელსაც შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა. მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმაში გაწერილია შემდეგი საკითხები: სკოლის შიდა და გარე ტერიტორიის დაცვა და კონტროლი, მოსწავლეთა სკოლაში დასწრებისა და დროულად გამოცხადების მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების განხორციელება. შინაგანაწესით რეგულირდება სკოლაში დისციპლინური დევნის საქმისწარმოება; სასკოლო გეგმით წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი უზრუნველყოფს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების გაცდენების კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

ინდიკატორი 3.4.1.3. შეესაბამება

4. სკოლაში არსებული, ნათელი საკლასო ოთახები, ფართო დერეფნები, მოსასვენებელი სივრცეები ხელს უწყობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. საზიარო სივრცეები: ღია სპორტული მოედნები, კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო კაბინეტები, სააქტო დარბაზი ეხმარება მოსწავლეებს სოციალიზაციის პროცესში. სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, საგნობრივი კურიკულუმებით დაგეგმილი შემოქმედებითი პროდუქტები, სკოლის სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია თემები მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლას ჰყავს უფლებამოსილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში წესრიგის და ისაფრთხოების დაცვას. აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სკოლა უზრუნველყოფს ემაციურად და ფქსიქოლოგიურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 3.4.1.3. შეესაბამება

5.სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლაში დასაქმებულია საშტატო განრიგით დამტკიცებული ორი დამლაგებელი, რომლებთანაც არის გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მათი ვალდებულებები. მათ ევალებათ შენობის ორივე სართულის დალაგება/დასუფთავება სველი წერტილების მოწესრიგება და საჭირო ჰიგიენური საშუალებებით მომარაგება (ტ/ქაღალდი,ხელის საშრობი ქაღალდი, თხევადი საპონი). სკოლაში ბრძანებით N2-12 განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის/განკარგვის წესების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, დამტკიცებული წესის შესაბამისად სკოლის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი ევალება სკოლის ექთანს. სველი წერტილები განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე .შენობაში არის უწყვეტი ელექტროენერგია, წყალი. შექმნილია კომფორტული გარემო. სკოლის შენობაშია სასმელი წყალი და მოწმდება მისი ვარგისიანობა წელიწადში ორჯერ.

ინდიკატორი 3.4.1.3. შესაბამება

6. სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალური მონაცემთა დაცვის“ დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნებულია ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მონაცემთა დაცვის მიზნები, საფუძვლები, სუბიექტები და კატეგორია, მონაცემთა მიღების წყაროები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები. მონაცემთა შენახვა/გამჟღავნების წესები, ვიდეომონიტორინგი, თანამშრომელთა ვალდებულებები, მონაცემთა უსაფრთხოება და წვდომა. პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. აღსანიშნავია, რომ „პერსონალური მონაცემების დაცვის“ პოლიტიკაში გვხვდება ჩანაწერი- „სკოლა მანდატურის სამსახურთან ერთად, ვიდეოსათვალთვალო სისტემას იყენებს კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად“. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს მანდატური, შესაბამისად აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება სკოლის ფაქტობრივ გარემომდებებს. სკოლას ჰყავს უფლებამოსილი პირი (ბუღალტერი), რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერების უფლება;

სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრებების ოქმიN1 , რომლის ერთ-ერთი საკითხია პერსონალური მონაცემების დაცვა და ასევე მშობელთა ფოტო, ვიდეო და აუდიო ჩანაწერზე ნებართვის დოკუმენტი, რათა მშობლის თანხმობით მოხდეს სასკოლო ღონისძიებებზე ფოტო-ვიდეო მასალის ატვირთვა სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლის პირველ სართულზე, დერეფანში მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, გამოკრულია პოსტერი საკუთარი და სხვისი პირადი ინფორმაციის დაცვის შესახებ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა შემუშავებული დოკუმენტით, მშობელთა თანხმობის ფორმებით, კრების ოქმითა, თუ საინფორმაციო პოსტერით უზრუნველყოფს სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვას. სკოლას მიეცა რჩევა,შემუშავებული

დოკუმენტი მოიცავს თანხვედრაში სკოლაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან, კერძოდ, „პერსონალური მონაცემების დაცვის“ დოკუმენტში მანდატურის ნაცვლად გაიწეროს ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის შესახებ.

ინდიკატორი 3.4.1.6. შეესაბამება

7. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრულ სამყაროში ქცევის გზამკვლევი, სადაც გაწერილია კიბერუსაფრთხოებასთან და პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. სკოლა მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ნებისმიერ შემთხვევას მიმართავს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას. ჰყავთ აიტი სპეციალისტი, რომელიც გარდა დაგეგმილი ვიზიტისა, სკოლას ემსახურება საჭიროებისამებრ.

ინდიკატორი 3.4.1.7. შეესაბამება

8. სკოლაში შექმნილია და ბრძანებით დამტკიცებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი, ასევე დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო; მრჩეველთა საბჭო იკრიბება წელიწადში მაქსიმუმ ოთხჯერ და განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს რეკომენდაციებს და წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის, ისმენს დირექტორის ანგარიშს. ასევე განიხილავს მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლებისა და მასწავლებლების წინადადებებს, რომელიც უკავშირდება უსაფრთხოებას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი 3.4.1.7. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანებით NIკ-01
- შინაგანაწესი
- წერილი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ
- წერილი შენობის მდგრადობის შესახებ
- საგანგებო შტაბი, სიტუაციების მართვის გეგმა-მასწავლებლების მორიგეობის განრიგი
- გარეშე პირთა რეგისტრაციის ჟურნალი
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება



- საევაკუაციო გეგმა, სახანძრო სტენდი
- საგანგებო შტაბის და სიტუაციების მართვის გეგმა
- ექთნის ხელშეკრულება N5-01
- მრჩეველთა საჭოს სამოქმედო გეგმა
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი
- მშობელთა კრების ოქმი N1
- ბრძ. N1კ-01-უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი-წყლის სინჯის ბოლო დასკვნა
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი-ბრძანება N2-08
- -საქმისწარმოების წესი
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
- ლაბორატორიით სარგებლობის წესები.
-

.....

.....

.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ჩალაუბნის საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელ ჩალაუბნის ცენტრში, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. სკოლის შენობა-ნაგებობა, შესაბამისი მიწის ფართობით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით. 2012 წელს სკოლას ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია. ადაპტირებული სკოლაში განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, რესურსოთახი, პანდუსი შშმ პირებისთვის- მხოლოდ პირველ სართულზე-შესასვლელში, ქიმიის ლაბორატორია, ბიოლოგიის კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი, სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, დირექტორის კაბინეტი, კანცელარია. სკოლას არ აქვს ფიზიკის კაბინეტი, თუმცა აქვს შესაბამისი რესურსი, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესში. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, კარადებითა და დაფებით. სკოლას აქვს 7 სველი წერტილი ; პირველ სართულზე განთავსებულია 2 საპირფარეშო ბიჭებისა და გოგონებისთვის. ასევე ერთი საპირფარეშო სკოლის თანამშრომლებისთვის. სველი წერტილ არის ქიმიის კაბინეტშიც. სკოლა უზრუნველყოფილია მუდმივი წყლით და წყლის რეზერვუარით; შენობებში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა;

ინდიკატორი 3.5.1.1. შეესაბამება

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების სრულფასოვანი ჩატარებისა და დასვენების საშუალებას. კერძოდ, სკოლას

აქვს დაცული და დიდი ეზო, შენობა უზრუნველყოფილია სამასწავლებლოთი და საერთო სარგებლობის დერეფნებით. სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი და დახურული სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით; კომპიუტერული კლასიც მოწყობილია შესაბამისი ინვენტარით, პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, შესაბამისი რესურსითა; სკოლის მეორე სართულზე მოწყობილია მოსასვენებელი სივრცეები საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის. ასევე სკოლის ეზოში მოწყობილია ღია სასწავლო სივრცე, შესაბამისი ინვენტარით. დირექტორის N 2-11 ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი, რომლის მიზანია სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისათვის და თანამშრომლებისათვის. სკოლაში შემუშავებულია და გაწერილია ინფორმაციულ საკომუნიკაციო, ლაბორატორიებით სარგებლობის წესი. შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია შესაბამის სივრცეში. ყველასთვის ცნობილია, ბიბლიოთეკისა და ლაბორატორიების გამოყენების განრიგი.

ინდიკატორი 3.5.1.2. შესაბამება

2. სკოლის ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, რომელიც მდებარეობს პირველ სართულზე, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით N 2-02 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკის შესასვლელში გამოკრულია სამუშაო საათები (9 საათიდან 17 საათამდე) და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში წიგნების აღრიცხულია და გატარებულია ბიბლიოთეკის საინვენტარო ჟურნალში. აქვთ ასევე ელექტრონული კატალოგი და საკატალოგო ყუთი. ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო სივრცე, სადაც პერიოდულად ტარდება სხვადასხვა აქტივობა. 2008 წელს სკოლის ბიბლიოთეკას გადაეცა წიგნადი ფონდი სოფლის ბიბლიოთეკისგან. ყოველივე ეს დასტურდება მიღება- ჩაბარების აქტით. სკოლა სარგებლობს აღნიშნული წიგნადი ფონდით, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით; სარეგისტრაციო წიგნში იკითხება წიგნების იდენტური ნომრები. მართალია, სოფლის ბიბლიოთეკის მიერ გადაცემულ წიგნებს აქვს სპეციალური მონიშვნა (ნომერი გახაზულია), საბიბლიოთეკო სერვისების ხელმისაწვდომობა მაინც არაა ნათელი. **სკოლას მიეცა რჩევა, ჩაატაროს ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია, მიანიჭოს თითოეულ წიგნს შესაბამისი ნომერი, იმისთვის რომ ნათელი გახდეს საბიბლიოთეკო სერვისების ხელმისაწვდომობა.**

ინდიკატორი 3.5.1.3. შესაბამება

4. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. პანდუსი განთავსებულია მხოლოდ სკოლის პირველ სართულზე- შესასვლელში. მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებს არ აქვს პანდუსი, სადაც განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია და ქიმიის კაბინეტი. პანდუსი არ არის ასევე სპორტული დარბაზის ჩასასვლელში; სკოლას არ

აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. აქედან გამომდინარე სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ჩალაუბნის საჯარო სკოლაში ყველა პირისთვის არ არის უზრუნველყოფილი ინკლუზიური გარემო. თუმცა სკოლას გააზრებული აქვს აღნიშნული პრობლემა და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების ვადები. კორძოდ, სკოლა გეგმავს ორი წლის ვადაში (15.06.2025 - 15.06.2027) მოაგვაროს აღნიშნული პრობლემა შესაბამისად ადგილობრივი თუ უფლებამოსილი ორგანოების (განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო/ ადგილობრივი თვითმმართველობა) დახმარებით; აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა ნაწილობრივ უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 3.5.1.4. ნაწილობრივ შეესაბამება

.....

5. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის ეზო, სკოლის შიდა სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტები, ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი 3.5.1.5. შეესაბამება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- -ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
 - -მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი- ბრძ.N2-11
 - -ბიბლიოთეკის მუშაობის წესი ბრძანება N2-02
 - ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი
 - საკადასტრო გეგმა
 - შენობების აზომვითი ნახაზები
 - ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი
-
-
-

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლა აღჭურვილია ინტერნეტით და მთელ შენობაში არის Wi-Fi, კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 13 პერსონალური კომპიუტერი, 2 პროექტორი, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის. სკოლას აქვს 5 ლეპტოპი, რომელიც განაწილებულია ბიბლიოთეკასა და სამასწავლებლობაში. სამასწავლებლობაში განთავსებულია ასევე 2 პრინტერი. სპეციალური საჭიროების მოსწავლეთა რესურსოთახში განთავსებულია ერთი პერსონალური კომპიუტერი და პრინტერი. სკოლის დირექტორის ოთახიდან აღჭურვილია ერთი პერსონალური კომპიუტერით და პრინტერით, საქმისმწარმოებელს და ბუღალტერს აქვს სამუშაოდ 2 კომპიუტერი და 1 პრინტერი. ინფორმაციული

ტექნოლოგიების ლაბორატორიაში გამოკრულია კომპიუტერებით სარგებლობის განრიგი/წესი, რათა პედაგოგებსა და მოსწავლეებს, ადმინისტრაციულ თუ ტექნიკურ პერსონალს გააჩნდეს რესურსებზე თანაბარი წვდომა. რაც შეეხება საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებას, სკოლაში მოქმედი თითოეული კათედრა გეგმავს საგანმანათლებლო პროცესში სხვადასხვა ახალი მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსის გამოყენებას. სკოლაში მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით, ტარდება კათედრის სხდომები, სამუშაო შეხვედრები, როგორც პირისპირ ასევე თიმის პლათფორმაზე. სკოლა თიმის პლატფორმას, ასევე დახურულ FACEBOOK გვერდებს აქტიურად იყენებს მშობლებთან კომუნიკაციისთვის. პირადი ინფორმაციის დაცვისა და კიბერ უსაფრთხოების საკითხები სკოლას გაწერილი აქვს შესაბამის დოკუმენტებში, კერძოდ, „ციფრულ სამყაროში ქცევის გზამკვლევა“ და „პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმში“. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია. ერთწლიან სამოქმედო გეგმით დგინდება, რომ სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის განახლება.

ინდიკატორი 3.6.1.1. შეესაბამება

2. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით; გამიზნულია სასწავლო პროცესში მოსწავლეების თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. აგრეთვე, სკოლის თანამშრომელთა მიერ საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება საგნობრივი ოლიმპიადები, კვლევები, გაკვეთილები და სხვა აქტივობები, რომელსაც სჭირდება კომპიუტერული ტექნიკა. ისტ-ის გაკვეთილები საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ ტექნიკის გამოყენება სასკოლო აქტივობებისთვის. სამასწავლებლოში განთავსებულია 2 პერსონალური კომპიუტერი და ორი პრინტერი, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი მასწავლებლისათვის. სპეციალური საჭიროების მოსწავლეთა რესურსოთახში განთავსებულია ერთი პერსონალური კომპიუტერი და პრინტერი, მასწავლებელი და ასისტენტი იყენებენ მოსწავლეებთან სამუშაოდ და ქმნიან ელექტრო რესურსებს ეფექტური გარემოს შექმნის მიზნით; სკოლის დირექტორის ოთახიც აღჭურვილია ერთი პერსონალური კომპიუტერით და პრინტერით, საქმისმწარმოებელს და ბუღალტერს აქვს სამუშაოდ 2 კომპიუტერი და პრინტერი; ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიაში გამოკრულია კომპიუტერებით სარგებლობის განრიგი/წესი, რათა პედაგოგებსა და მოსწავლეებს, ადმინისტრაციულ თუ ტექნიკურ პერსონალს გააჩნდეს რესურსებზე თანაბარი წვდომა.

ინდიკატორი 3.6.1.2. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერებით სარგებლობის განრიგი/წესი
- ციფრულ სამყაროში ქცევის გზამკვლევი
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი

.....
.....
.....

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებსა და წერილებზე მუშაობის წესს. აღნიშნული წესი მოიცავს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დოკუმენტების ფორმებს და ტიპებს, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირებას, დოკუმენტების შედგენას, გაფორმებას, დავალებების შესრულების კონტროლს და გაგზავნას, ხელშეკრულებების აღრიცხვის წესს და ა.შ. სკოლა ფუნქციონირებს სამ მისამართზე. საქმისწარმოების ერთიანი მიდგომების გათვალისწინებით საქმისწარმოების დოკუმენტაცია ინახება საქმისმწარმოებელთან. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით. მატერიალური ფორმით აღირიცხება შრომითი ხელშეკრულებები შესაბამის ჟურნალში, რომელიც დანომრილია, აკინძულია, ბეჭედდასმულია და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. სკოლას აწარმოებს ასევე საერთო და საკადრო ბრძანებების ჟურნალს.

ინდიკატორი 3.6.2.1. შეესაბამება

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

ინდიკატორი 3.6.2.2. შეესაბამება

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი 3.6.2.3. შეესაბამება

4. წარმოდგენილი მასალების დათვალიერებით დგინდება რომ, სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყებებთან და აწვდის დროულ უკუკავშირს. კერძოდ, ავსებს თვითშეფასების კითხვარს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე ხარვეზის გამოსწორების მასალებს. თანამშრომლობს გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, დროულად აწვდის ინფორმაციას საფეხურის დაძლევის, მედალოსნების, ექსტერნის გამოცდებისა სხვა მნიშვნელოვან დავალებებზე.

ინდიკატორი 3.6.2.4. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2-53 საქმისწარმოების წესი
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი
- საერთო და საკადრო ბრძანებების ჟურნალს.
-
-

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, რაც გვამლევს ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. სკოლის სოციალურ ქსელში თავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების, ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ. სკოლა სარგებლობს ელექტრონულ ფოსტებით, ელექტრონულ ჟურნალით; სკოლა აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ შექმნილი ვებ გვერდი (პორტალი), რომელზეც განთავსებულია გარკვეული ინფორმაცია სკოლის შესახებ.

ინდიკატორი 3.6.3.1. შეესაბამება

2. . სკოლა სოციალურ ქსელით უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას, განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, რომელიც მართავს სოციალური ქსელს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელების სიზუსტეს. სკოლის ფეიბუქგვერდის <https://www.facebook.com/profile.php?id=100089898083791> დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია: პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები და პირობები, მასწავლებლის გამოცდის რეგისტრაციის ვადები, მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია პროვაიდერის ოფიციალური გვერდიდან.

ინდიკატორი 3.6.3.2 . შეესაბამება

2. . სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც მოიცავს საზოგადოებასთან ურთიერთობის განხორციელების წესებსა და პირობებს, სკოლის ფეისბუქ-გვერდზე სავალდებულოდ განსათავსებელ ინფორმაციის ჩამონათვალს, სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციის სიზუსტესა და სანდოობის მექანიზმებს, სკოლის ფეისბუქ-გვერდის მართვის პროცედურებს, ოფიციალური ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირს და ინფორმაციის გაცემის წესს. აღნიშნული წესისი თანახმად, სკოლის ვებგვერდზე აუცილებლად განთავსებული უნდა იყოს სკოლის სტრუქტურა, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. დაწესებულების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად იყენებს არსებული საკომუნიკაციო არხებს.ხდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით ინფორმაციის მიღება და მასზე დროული რეაგირება.კერძოდ:სკოლის ელ.ფოსტა/Eflow, <https://eschool.emis.ge/logon.html>, <https://email.mes.gov.ge> (იხ.დანართი 156)უკუკავშირი ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 3.6.3.3. შეესაბამება

3. სკოლას აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ შექმნილი მოქმედი ვებ. გვერდი,სადაც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3. 6.3.4 შეესაბამება

4. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილ სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ჩალაუბნის საჯარო სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სკოლის ფილოსოფია (მისია,ხედვა,ღირებულებები),სასკოლო სასწავლო გეგმა,ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სკოლის სტრუქტურა, შინაგანაწესი,პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური



მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლამ აღნიშნა, რომ ვებ.გვერდზე საჭირო ინფორმაციის განახლება და განთავსება ხორციელდება პერიოდულად.

ინდიკატორი 3.6.3.5. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფეისბუკგვერდი <https://www.facebook.com/profile.php?id=100089898083791>
- სკოლის ვებგვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/1232?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90>
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
-

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსურ რესურსს ძირითადად მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება წარმოადგენს. აღნიშნული რესურსი მიმართულია სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად, რომელიც წინასწარ დაგეგმილია წლიური ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის სახით, შესყიდვების განკარგვა ხდება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, რომელიც აისახება სახელმწიფო შესყიდვების გვერდზე, მიმდინარე წლის არაუგვიანეს 20 ნოემბრისა. სკოლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სხვადასხვა სასწავლო რესურსის, საკანცელარიო ნივთებისა და სპორტული ინვენტარის შეძენას, ასევე სხვადასხვა მომსახურების ანაზღაურებას. ერთწლიან სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ამოცანაა მატერიალურ ტექნიკური ბაზის შევსება/განახლება, რომელიც სკოლას უნდა განეხორციელებინა მიმდინარე სასწავლო წლის ნოემბერ-აპრილის თვეებში, თუმცა გამოკითხვისას დადგინდა, რომ აღნიშნული ამოცანის სრულად განხორციელება ამ ეტაპზე სკოლამ ვერ შეძლო. სკოლა აღნიშნულ საკითხს აუცილებლად გაითვალისწინებს მომავალი სამოქმედო გეგმის შედგენისას.

ინდიკატორი 3.7.1.1. შეესაბამება

2. სკოლას აქვს ფინანსური მართვის სისტემა. ყოველი წლის ნოემბრის თვეში დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილია სკოლის საჭიროებები და გეგმის სისტემაში რეგისტრაციაზე და შემდგომ მის კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექცია ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და მართვას უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. ყოველი წლის 31 დეკემბრამდე დირექცია ბიუჯეტის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და მასთან ერთად განიხილავს პრიორიტეტულ საკითხებს; საჭიროების შემთხვევაში ხდება შესყიდვების გეგმის კორექტირება სკოლის დირექტორი პედსაბჭოს თავმჯდომარის, საგნობრივი კათედრების, ბუღალტრის, დირექტორის მოადგილის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი 3.7.1.2 . შეესაბამება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N7
- 10 დეკემბრის ანგარიში პრემიერ მინისტრს
- 10 დეკემბრის ანგარიში პრეზიდენტს
- 10 დეკემბრის ანგარიში პარლამენტის თავმჯდომარეს
- 10 დეკემბრის ანგარიში საკანონმდებლო მაცნეს
-
- 2-40 შესყიდვების წლიური გეგმა
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N7
- ბრძ 2-41 შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის ექთანი, თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი; სასკოლო სასწავლო გეგმასა და შინაგანაწესში გაწერილია, თითოეული მექანიზმის ფარგლებში მოსწავლის უფლებები და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლის დირექტორის N 2-12 ბრძანებით დამტკიცებულია „გასაჩივრების წესი“, სადაც ასევე განსაზღვრულია მოსწავლის, ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების წესები. სკოლას შემუშავებული აქვს რეფერირების დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული, სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქციები. მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით, ასევე შემუშავებულია ქცევის წესები, რომელიც ითვალისწინებს ტოლერანტულ და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ საკლასო გარემოს შექმნას. სკოლას ჰყავს მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანო, რომლის უფლებებიც რეგულირდება კანონით ზოგადი განათლების შესახებ. სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორ ხდება მოსწავლის უფლებების დაცვა სხვადასხვა შემთხვევაში, მაგალითად ელ. ჟურნალის წარმოებისას, თიშის პლატფორმის გამოყენებისას. სსსმ მოსწავლის განათლების რეგულირების დებულების განსაზღვრულია სსსმ მოსწავლის უფლებები და სკოლის ვალდებულებების უფლებების დასაცავად. წარმოდგენილი „გასაჩივრების წესით“, სასკოლო სასწავლო გეგმით, რეფერირების დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესით, სსმ მოსწავლეთა განათლების რეგულირების მექანიზმებით და სხვა შიდა

მარებულირებული აქტებით სკოლა აცხადებს მზაობას, უზრუნველყოს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

ინდიკატორი 4.1.1.1. შესაბამება

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სკოლის პირველ სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი; სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია შემდეგი დოკუმენტები: “გასაჩივრების წესი” და “პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები. წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს, რაც დასტურდება წარმოდგენილი ოქმებით; სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია მოსწავლეთა უფლებების შესახებ საკითხები. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ფერადი პოსტერი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები; ასევე თითოეული მოსწავლის მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფილია გაზიარების შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 4.1.1.2. შესაბამება

3.. 3.მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, მხარეთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სხვა დამატებითი პირობები და მხარეთა რეკვიზიტები, მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესები.

ინდიკატორი 4.1.1.3 . შესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლოს სასწავლო გეგმა
- შინაგანაწესი
- რეგულირების დოკუმენტი

- გასაჩივრების წესი
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები
- მშობელთა ხელშეკრულებები
- სადამრიგებლო პროგრამები
- მშობელთა კრების ოქმები
- კედელზე გამოკრული პოსტერი და ქცევის წესები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა, მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებულ პროცესებს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად. პირველკლასელთა ჩარიცხვის შესახებ, დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით სკოლა ფეისბუქ გვერდზე აქვეყნებს შეტყობინებას. საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის მექანიზმები განსაზღვრულია

სადამრიგებლო პროგრამით. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი, რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი საფეხურის დაძლევის, მოსწავლის ჩარიცხვის და მობილობის მასალებით (ბრძანებებით) ჩანს, რომ მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება მშობლის განცხადების და ამორიცხვის ბრძანების საფუძველზე. მობილობა-მშობლის განცხადებისა და მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო საფეხურის დაძლევა- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე. სკოლას, დირექტორის ბრძანებით, შემუშავებული აქვს ერთ დოკუმენტად „ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული წესებისა და პირობების გამჭვირვალებას. ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გაზიარებულია მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, პედაგოგებისთვის და მოსწავლეებისთვის სკოლის გვერდზე.

ინდიკატორი 4.1.2.1. შესაბამება

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. მაგალითად, შესაბამისი ბრძანებით- საფეხურის დაძლევის, მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და ა. შ. პირველკლასელთა ჩარიცხვა ხორციელდება კანონის შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე 4 ეტაპად. სკოლაში კლასის დაძლევა ხდება თითოეულ საგანში მიღებული შეფასების მიხედვით. მოსწავლეთა შედეგები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე. პედაგოგიური საბჭოს ოქმის საფუძველზე კლასიდან კლასში და საფეხურის დაძლევის ბრძანებას გამოსცემს სკოლის დირექტორი. ასევე კანონმდებლობით დადგენილი წესით, აბარებენ მოსწავლეები ექსტერნის გამოცდებს და უჩერდებათ მოსწავლის სტატუსი .აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით განსაზღვრულ მექანიზმებს.

ინდიკატორი 4.1.2.2. შესაბამება

3. სკოლის ფეისბიქვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მიერ განსაზღვრული გარკვეული მომსახურებების შესახებ. კერძოდ, სკოლაში მოქმედი კლუბების შესახებ. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურებების გასაჯაროების მიზნით, დამრიგებლები იყენებენ ე.წ. მესენჯერის ჯგუფებსაც. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების,

პირობების, პროგრამებისა და მათი სპეციფიკის შესახებ ინფორმაციის გარკვეული ნაწილი პერიოდულად ქვეყნდება სასკოლო სივრცეშიც. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორი 4.1.2.3. შეესაბამება

4.. სკოლა სიახლეებს აქვეყნებს სოციალურ სივრცეში და ასევე ათავსებს სკოლის შენობაში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, სადაც განთავსებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე. სკოლის მიერ შემუშავებული მნიშვნელოვანი დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. სკოლამ მოაწვლეთა გამოკითხვის საფუძველზე, განსაზღვრა პრიორიტეტული სფერო და მომავალი წლისთვის გეგმავს სხვადასხვა აქტივობას. სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული შინაგანაწესი და რეფერირების ინსტრუქციები კანონის შესაბამისია. სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელებზე სკოლას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი. სკოლას დირექტორის N 2-11 ბრძანებით დანტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულია.

ინდიკატორი 4.1.2.4 . შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საფეხურის დაძლევის, მოსწავლის ჩარიცხვის და მობილობის ამსახველი მასალები (ბრძანებები)
- სადამრიგებლო პროგრამები
- შინაგაბაწესი
- სტატუსის შეჩერების წერილები
- სკოლის ვებგვერდი
- სკოლის ფეისბუკგვერდი

- -საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
-

.....

.....

.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი; შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა ემზადება მოსწავლეთა დასახვედრად. სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება მშობლის ინფორმირება საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების შესახებ. აღნიშნული წესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველკლასელებთან და მობილობით გადმოსულ მოსწავლეებთან. პირველკლასელთათვის ხდება სასკოლო გარემოსა და დამრიგებლის გაცნობა. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტი. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ, მობილობით გადმოსულ მოსწავლეს აცნობს თანაკლასელებს, კლასის მასწავლებლებს, უზრუნველყოფს ახლად ჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. სსსმ მოსწავლეებისთვის შესაბამისად ხორციელდება სწავლება და სოციალური ადაპტაცია. .

ინდიკატორი 4.2.1.1. შეესაბამება

2. სკოლას აქვს მზაობა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას. სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტში ჩანს, რომ სკოლა განსაკუთრებულად ხვდება პირველ კლასელებს. პირველკლასელთა დასახვედრად მართავენ ღონისძიებებს, რთავენ კლასებს; ათვალიერებინებენ მათ სკოლას. ასევე თანამშრომლობენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან და ხშირად მასპინძლობენ პატარებს სასკოლო ღონისძიებებზე, რითაც ეხმარებიან მომავალ პირველ კლასელებს გარემოსთან ადაპტაციაში. სწავლის დაწყებისას დამრიგებლები ატარებენ კლასის საათს. აცნობენ მოსწავლეებს სიახლეებს და მათთან ერთად შეიმუშავენ ქცევის წესებს. სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეზეც ზრუნავს კლასის დამრიგებელი.

ინდიკატორი 4.2.1.2. შეესაბამება.

3. მოსწავლეებს სხვადასხვა გზით შეუძლიათ ინფორმაციის მიღება საკუთარი აკადემიური მიღწევების შესახებ; ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, ასევე დაინტერესებული მშობლები ინდივიდუალურად ხვდებიან საგნის მასწავლებლებს და მათგან

იღებენ საჭირო ინფორმაციას. დამრიგებლები მუდმივად აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, სკოლის და მასწავლებლების მხრიდან ყოველთვის არის მხარდაჭერის მზაობა, საჭიროების შენთხვევაში ხდება მოსწავლეების კონსულტირება, განმავითარებელი შეფასების მიცემა და უკუკავშირი. სკოლაში დანერგილია რემედიაციის პროგრამა, რომელიც, გაწერილია სასკოლო საწავლო გეგმაში. სკოლამ წარმოადგინა სარემედიაციო გეგმის ნიმუშები, რემედიაციის რეფლექსიები. მოსწავლეებს წლის დასაწყისში აცნობენ სასკოლო საწავლო გეგმას. სასკოლო საწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის, სემესტრული ნიშნის ამაღლების წესები; შეფასების (ვერიფიკაციის) მექანიზმები. ამრიგად, მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 4.2.1.3. შეესაბამება

4. სკოლა შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტებით უზრუნველყოფს, მოსწავლეს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს ადმინისტრაციულ მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასკოლო საწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის, სემესტრული ნიშნის ამაღლების წესები. სასკოლო საწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი.

ინდიკატორი 4.2.1.4. შეესაბამება

5. სკოლა უზრუნველყოფს არაფორმალური სასწავლო აქტივობების საშუალებით მოსწავლეთა წახალისებას. სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები- იგლისური ენის კლუბი, მშობელთა კლუბი. პერიოდულად ხდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრა, აღნიშნული შეხვედრის ამსახველი ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ ქსელში. ადმინისტრაცია ახალისებს მოსწავლეთა ინიციატივებს. სკოლის თვითმართველობამ მოაწყო საახალწლო კარნავალი, რომელშიც მონაწილეობენ მოსწავლეები და მასწავლებლები, სკოლაში ხორციელდება პროექტები, ეწყობა მოსწავლეების ნამუშევრების, ხელნაკეთი ნივთებისა და მაკეტების გამოფენა; ამჟამად სპეციალურად გამოყოფილ ადგილას აწყობენ ეთნო-კუთხეს. ტარდება ლაშქრობები, ექსკურსიები, რომლებიც მოსწავლეების და მშობლების ინტერესებით და ინიციატივით ეწყობა. სკოლამ თანამშრომლობს თვითმართველ ორგანოებთან და მათი ინიციატივით მოხდა მარადმწვანე ნარგავების შექმნა, რომელიც გადმოეცა სკოლას. მოსწავლეებმა საკუთარი სურვილით შეურჩიეს სკოლის ეზოში ნარგავებს ადგილი და მოახდინეს სკოლის ეზოს გამწვანება. პერიოდულად ეწყობა დასუფთავების აქციებიც. სკოლა ჩართულია პროექტში “ ჩემი

სოფლის ისტორია”, რომელიც ხორციელდება რესურსცენტრის ინიციატივით. სკოლის მოსწავლეებმა მოიძიეს მასალა საკუთარი სოფლის შესახებ და შექმნეს ვიდეოკოლაჟი, რომელიც განთავსებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ფეისბუკგვერდზე. სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი მეზობელი სოფლის სკოლასთან და პერიოდულად ერთად ახორციელებენ არაფორმალური აქტივობებს.

ინდიკატორი 4.2.1.4. შეესაბამება

6. როგორც სადამრიგებლო პროგრამებში და სკოლის მიერ ჩატარებულ მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარში ჩანს, სკოლა სადამრიგებლო საათის ფარგლებში, მოსწავლეთა უკუკავშირისა და ასევე მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით, აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მომავალი წლისთვის სკოლა გეგმავს მოსწავლეთა კვლევის საფუძველზე, მათი ინტერესების გათვალისწინებით, დაგეგმოს კიდევ ბევრი აქტივობა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეთა ინიციატივით და ინტერესების გათვალისწინებით, ფუნქციონირებს სკოლაში ინგლისური ენის კლუბი. ასე რომ, მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორი 4.2.1.5. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
 - მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
 - სარემედიაციო გეგმა და რეფლექსია
 - მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარები
 - სადამრიგებლო პროგრამები
 - მშობელთა კრების ოქმები
 - ფეისბუკგვერდები
 - კლუბების დებულება
 - მოსწავლის კითხვარის ანალიზი
-
-

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პრაქტიკა, დამრიგებლების დახმარებით, კლასის საათზე გააცნოს მოსწავლეს სხვადასხვა პროფესია, დაეხმაროს მათ პროფესიების გაცნობაში. სკოლა გეგმავს და ახორციელებს ვიზიტებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება სსიპ კოლეჯ „აისტან“. რომელთანაც გაფორმებულია მემორანდუმი. ამ დოკუმენტით არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია, სკოლის მოსწავლეებისათვის პროფორიენტაციური ხასიათის შეხვედრების ორგანიზება რეალურ გარემოში, ექსკურსიების დაგეგმვა, ერთობლივი პროექტების განხორციელება. სკოლაში მოეწყო შეხვედრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომლებმაც გააცნეს მოსწავლეებს ქართული ჯარის შესახებ ინფორმაცია. მოსწავლეებმა მოინახულეს ალაზნის ჰიდროელექტროსადგური, გაესაუბრნენ იქ დასაქმებულ თანამშრომლებს. სკოლაში მოწვეულ იქნა სახანძრო-სამაშველო დაწესებულებაში დასაქმებული პირი, მოსწავლეები ეწვივნენ საპატრულო პოლიციას და სოფლის ექიმსაც. ასევე რესურსცენტრის ინიცირებით, განხორციელდა პროექტი „მშობელთა დღე სკოლაში“. მშობლებმა გააცნეს მოსწავლეს სხვადასხვა პროფესია.

ინდიკატორი 4.2.2.1. შეესაბამება

2. დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე ეროვნული გამოცდებისა და პროფესიული პროგრამების შესახებ. ასევე სკოლაში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს დამრიგებელი ფეისბუქ ჩათის მეშვეობით აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტების ღია კარის დღეების, პროფესიულ სასწავლებელსა და უმაღლეს დაწესებულებაში რეგისტრაციის ვადების შესახებ.

ინდიკატორი 4.2.2.2. შეესაბამება

3. სკოლა პერიოდულად ატარებს მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვას და წერს კვლევის ანალიზს. მიღებული შედეგები ეხმარება სკოლას გაწეული მომსახურების შედეგების შეფასებაში. მართალია სკოლას არ აქვს დიდი ხნიდ პრაქტიკა და გამოცდილება, მაგრამ ჩანს, რომ მან უკვე გადადგა ნაბიჯები და გაახორციელა შესაბამისი ღონისძიებები მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები.

ინდიკატორი 4.2.2.3. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კოლეჯ „აისთან“ გაფორმებული მემორანდუმი.
 - სადამრიგებლო პროგრამები
 - ფეისბუკგვერდზე განთავსებული მასალები
 - მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარები
 - კითხვარების ანალიზი
 -
-
-
-

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთ-ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი მექანიზმები, მიზნები და ამოცანები. ასევე სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების გეგმა და ინკლუზიური განათლების განვითარების კითხვარები, რომლებსაც ავსებინებენ მშობლებს და შედეგების გაანალიზების საფუძველზე გეგმავენ გაუმჯობესების გზებს. სკოლას ჰყავს სულ 4 სსსმ მოსწავლე. სსსმ მოსწავლეებისთვის ბრძანებით დამტკიცებულია ისგ გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაზე; ასევე სპეცმასწავლებელი წერს მოსწავლეთა ინტერვენციის გეგმას.

ინდიკატორი 4.2.3.1.შესაბამება

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირება და რეგისტრაცია ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება ისგ ჯგუფის წევრთა ჩართულობით და მასში შედიან სსსმ მოსწავლის მშობელი, სპეცმასწავლებელი, კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები. ისგ ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება რამდენჯერმე და განიხილავს სსსმ მოსწავლის პროგრესს. მათი ჩართულობით იცვლება და კორექტირდება ისგ. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით აღინიშნება სკოლაში 21 მარტი- დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე და 2 აპრილი - მსოფლიო აუტიზმის ცნობიერების ამაღლების დღე. ეს ყოველივე დასტურდება სასკოლო სივრცეში გამოკრული კედლის გაზეთებით. ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა სსსმ მოსწავლეების მშობლებს ავსებინებს კითხვარებს, რაც ეხმარება სკოლას გაარკვიოს მოსწავლეთა საჭიროებები და დაგეგმოს მათი გაუმჯობესების გზები. ასევე სპეც მასწავლებლები ესწრებიან გაკვეთილებს, და წინასწარშემუსავებული რუბრიკის საშუალებით აფასებენ მასწავლებელს. ეხმარებიან მათ სსსმ მოსწავლის მართვაში. ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით, სკოლის დირექტორს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი აქვს შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლა შიდა მონიტორინგს ახორციელებს წლის ბოლოს, წელიწადში ერთხელ. ასე რომ, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორი 4. 2.3.2 . შესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინკლუზიური განათლების გეგმა
- ისგ ჯგუფის დამტკიცების ბრძანება
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი
- მშობელთა კითხვარებისგ.
- ისგ. მონიტორინგის ანგარიში
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ინტერვენციის გეგმა
- მასწავლებლის შეფასების რუბრიკა
- კედლის გაზეთები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. 1.სკოლის არ აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.

.....

2.

3.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“ იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.
